მე და საზოგადოების სწავლებისთვის

ექსკურსია მუზეუმში

ავტორი: ნინო გვარამაძე

მე და საზოგადოების საგნის ფარგლებში თემაში „განათლება“ ბუნებრივია, ადგილი დაეთმოს მუზეუმის საკითხს. შესაძლებელია, რომ მე-4 კლასელ მოსწავლეთა დიდ ნაწილს არ ჰქონდეს მუზეუმის დათვალიერების გამოცდილება და წარმოდგენა მუზეუმის არსსა და დანიშნულებაზე.

ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მათ შეექმნათ წარმოდგენა მუზეუმებზე ზოგადად, რაც გაუღვივებს მოსწავლეებს ინტერესს და შემდეგ სწორად შევარჩიოთ მუზეუმი, რომლის ნახვა მათ ინტერესსაც დააკმაყოფილებს და სიამოვნებასაც მოჰგვრის.

თავდაპირველად, ინტერნეტის დახმარებით მასწავლებელს შეუძლია აჩვენოს მათ რამდენიმე ცნობილი მუზეუმი. ამისთვის შესაძლებელია შემდეგი ბმულის გამოყენება. https://www.youtube.com/results?search_query=%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

შემდეგ შეარჩიოს მუზეუმი, რომლის დათვალიერებასაც დაგეგმავს.

მუზეუმი წარმოადგენს სივრცეს, სადაც მოსწავლეს შეუძლია გაიუმჯობესოს ცოდნა ხელოვნების ნიმუშის, დოკუმენტის, წარმოდგენილი ნარატივის, რომელზეც კლასში ხელი არ მიუწვდება, საშუალებით. მუზეუმში ვიზიტი ხელს უწყობს ამა თუ იმ მოვლენისა თუ ფაქტის სწორად აღქმას, მოქალაქეობრივი თვითშეგნების ზრდას. ემოციური ზეგავლენა, რომელსაც ახდენს სამუზეუმო ექსპონატი აძლიერებს მოსწავლეთა აღქმას. ამასთან ერთად, აუცილებელია, მოსწავლეთა დახმარება გარკვეული მექანიზმებით, რათა მოხდეს კრიტიკული აზროვნების პროვოცირება, ნანახის განხილვა სხვადასხვა კუთხით.

კარგი იქნება, თუ მასწავლებელი თავდაპირველად თვითონ გაეცნობა მუზეუმს, რომლის სტუმრობასაც გეგმავს ბავშვებთან ერთად, მოინიშნავს ბავშვებისთვის საინტერესო თემატიკას და ექსპონატებს, მოიფიქრებს კითხვებს ექსკურსიის ინტერაქტიურად წარმართვისათვის. თუ მუზეუმში გათვალისწინებულია ექსკურსიამძღოლის მომსახურება

და ის ვერ წარმართავს ვიზიტს ინტერაქტიურად, მასწავლებელი შეძლებისდაგვარად, ერთვბა კითხვებით. თუ მუზეუმი დიდია, არ არის საჭირო მისი სრულად დათვალიერება. უნდა შეირჩეს ის გამოფენა, რომელიც მოსწავლეთა ასაკსა და ინტერესებს შეესაბამება. მოსწავლეებს აუცილებლად უნდა მიეცეს კითხვების დასმის შესაძლებლობა. მუზეუმის თემატიკიდან გამომდინარე. ექსკურსია შეიძლება დაიგეგმოს სხვა საგნის მასწავლებელთან ერთად (მაგალითად, ხელოვნების, მუსიკის, ბუნებისმეტყველების და ა.შ.).

საქართველოს ბევრ ქალაქსა თუ სოფელში არის ცნობილი ადამიანების სახლ-მუზეუმები. მათი მონახულება გააფართოვებს მოწავლეთა წარმოდგენას საკუთარ თემსა და გარემოზე.

ეს ბმული მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ საქართველოს მუზეუმების მოსაძებნად.

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90